ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 31 01 2018 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ბრძანება №02-3

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტისა და მე-10 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ასევე იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტში მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსები არ არის ადეკვატურად გადანაწილებული, მიზანშეწონილია, მართვის ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტის რეორგანიზაცია, მისი გარკვეული სტრუქტურული ერთეულების ოპტიმიზაციის გზით.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ამჟამად უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ოთხი სკოლა. სტუდენტთა და სკოლებში არსებული საშტატო ერთეულების თანაფარდობა წარმოდგენილია შემდეგნაირად: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლას ჰყავს 752 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, 2017-2018 სასწავლო წელს ამავე სკოლამ მიიღო 246 სტუდენტი, ხოლო მოქმედი საშტატო განრიგით სკოლისთვის გამოყოფილია 8 შტატი. აღნიშნულ საშტატო ერთეულებზე დასაქმებული პირები ახორციელებენ სტუდენტთა მომსახურებას. ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სკოლას ჰყავს 344 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, 2017-2018 სასწავლო წელს ამავე სკოლამ მიიღო 74 სტუდენტი, ხოლო მოქმედი საშტატო განრიგით სკოლისთვის გამოყოფილია 7 შტატი, სოციალურ მეცნიერებათა სკოლას ჰყავს 311 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, 2017-2018 სასწავლო წელს ამავე სკოლამ მიიღო 109 სტუდენტი, ხოლო მოქმედი საშტატო განრიგით სკოლისთვის გამოყოფილია 5 შტატი, ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლას ჰყავს 133 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, 2017-2018 სასწავლო წელს ამავე სკოლამ სამივე საფეხურზე

მიიღო 21 სტუდენტი, ხოლო მოქმედი საშტატო განრიგით სკოლისთვის გამოყოფილია 5 შტატი.

ამდენად, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა 752 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტს მომსახურებას უწევს 8 თანამშრომლით, მაშინ როდესაც უნივერსიტეტში არსებულ დანარჩენ სამ სკოლას ჯამში ჰყავს 788 სტუდენტი და საშტატო განრიგით გამოყოფილი აქვს 17 საშტატო ერთეული. ამასთან, 2017-2018 სასწავლო წელს მიღებული სტუდენტების რაოდენობრივი გადანაწილება სკოლების მიხედვით ცხადყოფს უკეთესი მმართველობისათვის მატერიალური და ადამიანური რესურსების სხვაგვარი გადანაწილების აუცილებლობას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე

ვბრძანებ:

1. უნივერსიტეტის წინაშე არსებული გამოწვევებისა და ფინანსური რესურსების (2017-2018 სასწავლო წელს მიღებულ სტუდენტთა რაოდენობის დაბალი მაჩვენებელი) გათვალისწინებით 2018 წლის 31 იანვრიდან უნივერსიტეტში გამოცხადდეს რეორგანიზაცია და განხორციელდეს, როგორც ადამიანური რესურსების, ასევე სტრუქტურული ერთეულების ოპტიმიზაცია, რომელსაც თან ახლავს სტრუქტურული ან/და ორგანიზაციული ცვლილებები და აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას ან/და გადაადგილებას. რეორგანიზაციის პროცესი მიზნად ისახავს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ და ეფექტიან ფუნქციონირებას.

2. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს - კანცლერს დაევალოს ახალი სტრუქტურის, საშტატო განრიგისა და სახელფასო ბადის პროექტების წარმოდგენა არაუგვიანეს 2018 წლის 2 თებერვლისა.

3. საქმისწარმოების, ადამიანური რესურსებისა და საორგანიზაციო საკითხთა მართვის სამსახურს დაევალოს ბრძანების უნივერსიტეტის თანამშრომელთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უნივერსიტეტის დამფუძნებლის
სრულუფლებიანი წარმომადგენელი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ქორეპისკოპოსი იაკობი (იაკობიშვილი) + მოოეე იაკობი